

ტექსტი: კონსტანტინე ბოლქვაძე, ხელოვნებათმცოდნე  
Text by art historian Konstantine Bolkvadze

**იპარესუმი:**

პროექტის იდეის ავტორი და კურატორი: თეა გოგუაძე-აპფელ  
პროექტის მრჩეველი და ექსპოზიციის დიზაინერი: მარია რაქვიაშვილი  
რედაქტორი - რუსუდან მარგიშვილი  
ფოტოდოკუმენტაცია: გიორგი შენგელია  
დიზაინი: ირინა კაჭარავა – შპს iStudio

განსაკუთრებული მადლობა - ლიზა კობულაძეს

**IMPRESSUM**

Project Concept and Curator: Thea Gogvadze-Apfel  
Project Advisor & Exposition Designer : Marika Rakviashvili  
Photodocumentation: Giorgi Shengelia  
Editor - Rusudan Margishvili  
Design: Irina Kacharava, iStudio LLC

Special Thanks to Liza Kobuladze

# სერგო კობულაძე

SERGO KOBULADZE STUDIO  
A CURATED RECONSTRUCTION



AFA | სერგო ქობულაძე  
დიდი ხელოვანის მემკვიდრეობა, როგორც უწყვეტი შთაგონების წყარო

AFA SERGO KOBULADZE  
where the memory of greatness becomes inspiration



„ხელოვნების ფონდი ანაგის“ მრავალგან-  
ყოფილებიან საგამოფენო დარბაზში სერ-  
გო ქობულაძის სივრცეს გამორჩეული ად-  
გილი უჭირავს. მე-20 საუკუნის გამოჩენი-  
ლი ხელოვანი განსხვავებულ ჭრილშია  
წარმოჩენილი. ქობულაძის არქივი მისი სა-  
ხელოსნოს ერთგვარი ისტორიული ფრაგ-  
მენტია. არქივის რეპრეზენტაცია ყოველთ-  
ვის ასოცირდება დოკუმენტური თხრობის  
ფილიგრანულობასთან, თუმცა ამ სივრცე-  
ში ვაწყდებით ენტროპიულ პოეზიას, „კი-  
დობანს“, შთაბეჭდილებას ვიღებთ მონა-  
პოვრისა და დანაკარგის შეგრძნებებიდან.  
ხელოვანის არქივით ვიგებთ მის ბიოგრა-  
ფიას, თვითობას, ოსტატობას და ასევე საბ-  
ჭოთა მემკვიდრეობის ცვეთას მძიმე გარე-  
მოების ფონზე. ყველა დეტალში შეიგრძ-  
ნობა რენესანსული და უნივერსალური  
ცნობიერების ნიშნები, სამუშაო გარემო გა-  
ჯერებულია აღორძინებისა თუ კლასიციზ-  
მის პერიოდის სკულპტურული ასლებით,  
რელიეფებით, ყალიბებით, მცირე პლასტი-  
კით. ამ ქსოვილში ყველაზე მომწესხველი  
არის ქართული დეკორატიულ-გამოყენე-  
ბითი ნივთების თანაარსებობა დასავლურ-  
თან – ეს პრინციპი სერგო ქობულაძის შე-  
მოქმედებაშიც ქვაკუთხედი.

საარქივო მასალაში ყურადღებას იპყრობს  
ფოტოების გასამჟღავნებელი აპარატი,  
პროექტორი, შტატივზე აღმართული საკ-  
ვეთი მოწყობილობა. ფერწერა-გრაფიკის  
მიღმა, ქობულაძის შემოქმედების განუყო-  
ფელი ნაწილი იყო გლიპტიკა, ფოტო-  
გრაფია, ბეჭდური გრაფიკა და ხელოვნე-  
ბის თეორიული კვლევა. არსებული გარე-  
მო და ყველა სამუშაო ერთეული ცხად-  
ყოფს ხელოვანის „პოლიმათურ (polymath)  
არტისტულ ფენომენს“. კედლებზე გამო-  
ფენილი ნამუშევრებით კიდევ უფრო  
მძაფრდება შემოქმედის ოსტატობა და

ნოვატორულობა, ავანგარდი და კლასიკა;  
ქობულაძის შემოქმედებითი „ქანქარა“  
წარმოდგენილია: თეატრალური მხატვ-  
რობით, დედის პორტრეტის ოფორტით,  
ქალის ნიღბის ეტიუდით, „მეფე ლირის“  
ილუსტრაციებით, ოპერის ფარდის „სარეა-  
ბილიტაციო“ სკეტჩით, სავონაროლასა და  
დანტეს პორტრეტებით. განსაკუთრებული  
შტრიხი შემოაქვს ქობულაძის სამყაროში  
ორ ნიუანსს – ქეთევან მაღალაშვილის მი-  
ერ შესრულებულ სერგოს პორტრეტს და  
რესტავრირებულ ვიდეოკადრებს, სადაც  
მხატვარია აღბეჭდილი. თითქმის დისტან-  
ციურად ეპოქის ორი „დამკვირვებელი  
თვალიც“ მის სრულ ლუსტრირებას ახ-  
დენს.

სერგო ქობულაძის სახელოსნოსა და ამ  
საგამოფენო ოთახისთვისაც მნიშვნელო-  
ვან როლს ასრულებს მხატვრის მიერვე  
შექმნილი თარო. ეს თარო არც წარსულსა  
და არც აწმყოს არ ყოფილა უზრალო ინ-  
ვენტარი, იგი წარმოადგენს ერთგვარ კან-  
კელს – გამოყოფს ზღვრებს რეალურსა და  
მიღმიერს შორის. ეპოქის დროინდელი  
ყოფითი ნივთები ქობულაძის იდეათა სამ-  
ყაროს ასახავს, ხატების ცნება სცდება რე-  
ლიგიურს, ანუ აქ საერო ხატებსაც აღმო-  
ვაჩენთ. ეს თარო ქობულაძის სარკმელია,  
საიდანაც იყურება წარსულში, მარადიულ  
ღირებულებებში. თაროებზე სევდიან  
ნატურმორტებს ქმნის ფრა ანჯელიკოს  
ხარება, თბილისის შავკრიალა კერამიკა,  
იოჰან სებასტიან ბახის გამოსახულება,  
„ალქიმური“ მინერალები, სამუშაო მიკ-  
როხელსაწყობები, დანტე ალიგიერის რე-  
ლიეფური ფირფიტა, ნეგატივები, ხატები  
და მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურა...  
იდეალურად სამად დაყოფილი თარო თა-  
ვისი მცირე დანაყოფებით ქმნის რთულ  
სტრუქტურას, რენესანსული ხუროთმოძ-





ღვრების ფასადს... ქობულადისვე შექმნილი და დაპროექტებული თარო ექსპლიციტურად წამოაჩენს ხელოვანის დახვეწილ ბუნებას და რამდენადმე „აკვიატებულადაც“ კი ეხმიანება ოქროს კვეთის მარადიულ, მათემატიკურად კოდირებულ სილამაზეს.

შეუძლებელია ვინმე გულგრილი დატოვოს მხატვრის გლიპტიკამ, ანუ მცირე პლასტიკურმა რელიეფებმა, რომლებიც დიდ სატრაპეზო მაგიდაზეა გაშლილი. მასზე ექსპონირებული „ათენა პალადას“ პროფილი მრავალი ვარიაციითაა გააზრებული, შემდეგი ნიუანსებით: ტონირებული კამეა, აქრომატული ბისკვიტები, პასტელურ და ველური ფერთა მონაცვლოებითი რიტმი, მოჭიქული კერამიკა და ყალიბები. ათენას „ბერძნული ქიმერები“ უცნაურადაა

გამრავლებული და განლაგებული მუყაოზე, თითქოს მხატვარი ანტიკურ ხელოვნებას პოპ-არტულ ლოგიკაში სვამს...

არქივირებული თხრობა სერგო ქობულადის შესახებ სანახაობრივად სხვა აღქმასა და „წაკითხვას“ ბადებს – კიდობნის, ენტროპიული პოეზიის, ფრესკიდან გადარჩენილი ფრაგმენტის თუ კონსერვირებული კულტურული ძეგლის. ხელოვანის არქივი და შემოქმედება ორგანულ-დაუნაწევრებელი მთლიანობაა, რისი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ჯეიმს ენსორის სახლ-მუზეუმი ოსტენდში (ბელგია), სადაც ენსორის საცხოვრებელი, ნივთები, ეპოქის კვალი და სურათების გაღერა ხელოვანის ერთიანი სხეულია. სერგო ქობულადის საარქივო სივრცითაც რამდენადმე ვიღებთ ხელოვანის სრულ სხეულს – შემოქმედებითსაც და ყოფითსაც.



In the multi-section exhibition hall of the Anagi Art Foundation, the space dedicated to Sergo Kobuladze holds a distinguished place. The renowned 20th-century artist is presented in a different light. Kobuladze's archive is a kind of historical fragment of his studio. The representation of an archive is always associated with the filigree-like precision of a documentary narrative; however, in this space, we encounter entropic poetry, an "ark," and gain an impression from the sensations of gain and loss. Through the artist's archive, we learn about his biography, identity, and mastery, as well as the erosion of the Soviet legacy against the backdrop of a harsh environment. Signs of a Renaissance and universal consciousness are palpable in every detail; the work environment is saturated with sculptural copies, reliefs, molds, and small-scale sculptures from the Renaissance and Classicism periods. Within this tapestry, the most captivating element is the coexistence of Georgian decorative-applied art objects with Western ones—a principle that is also a cornerstone of Sergo Kobuladze's oeuvre.

In the archival material, a photographic enlarger, a projector, and a cutting device mounted on a tripod attract attention. Beyond painting and graphics, integral parts of Kobuladze's creative work were glyptics, photography, printmaking, and theoretical research in art. The existing environment and all the work-related items reveal the artist's "polymathic artistic phenomenon." The works displayed on the walls further intensify the creator's mastery and innovative spirit, his avant-garde and classical aspects; Kobuladze's creative "pendulum" is represented by: theatrical set design, an etching of his mother's portrait, an étude of a woman's mask, illustrations for "King Lear," a "rehabilitation" sketch for the opera curtain, and portraits of Savonarola and Dante. Two nuances add a special touch to Kobuladze's world: a portrait of Sergo by Ketevan Magalashvili and restored video footage in which the artist is captured. It is as if two "observing eyes" of the era are remotely conducting his complete illustration.

A shelf, created by the artist himself, plays a significant role both in Sergo Kobuladze's studio and in this exhibition room. This shelf has never been a mere piece of furniture, neither in the past nor in the present; it represents a kind of iconostasis—a dividing threshold between the real and the transcendental. The everyday objects from that era reflect the world of Kobuladze's ideas; the concept of icons transcends the religious, meaning here we also discover secular icons. This shelf is Kobuladze's window, through which he looks into the past, into eternal values. On the shelves, melancholic still lifes are created by Fra Angelico's Annunciation, glossy black Tbilisi ceramics, an image of Johann Sebastian Bach, "alchemical" minerals, micro-tools for work, a relief plaque of Dante Alighieri, negatives, icons, and exclusively scientific literature... The shelf, perfectly divided into three parts with its smaller compartments, creates a complex structure, a facade of Renaissance architecture... The shelf, designed and built by Kobuladze himself, explicitly brings forth the artist's refined nature and even echoes, somewhat "obsessively," the eternal, mathematically encoded beauty of the golden ratio.

The archived narrative about Sergo Kobuladze visually gives rise to a different perception and "reading"—that of an ark, of entropic poetry, of a fragment saved from a fresco, or of a preserved cultural monument. An artist's archive and oeuvre form an organic, indivisible whole, one of the best examples of which is the James Ensor House-Museum in Ostend (Belgium), where Ensor's living space, objects, traces of the era, and picture gallery constitute the artist's unified body. Similarly, with Sergo Kobuladze's archival space, we receive, to some extent, the artist's complete body—both the creative and the quotidian.

